დანართი 2

დამტკიცებულია სსიპ „კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის

დირექტორის დროებით მოვალეობის შემსრულებლის
2017 წლის 18 აგვისტოს N 53 ბრძანებით

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში კონკურსის ჩატარების წესი

მუხლი 1. წესის რეგულირების სფერო

1. წინამდებარე წესი (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) კონკურსის ჩატარების წესს, საკონკურსო კომისიის შექმნის, საქმიანობისა და გადაწყვეტილების მიღების, საკონკურსო პირობების განსაზღვრის, საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და კონკურსის ორგანიზებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.
2. კონკურსის ამ წესის მიზნებისთვის არის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით კანდიდატის შესაბამისობის დადგენა ვაკანტური თანამდებობის მოთხოვნებთან.

მუხლი 2. კონკურსის ჩატარების პრინციპები

1. ცენტრში კონკურსი ტარდება შემდეგი ძირითადი პრინციპების შესაბამისად:

   ა) კანონიერება;

   ბ) სამართლიანობა;

   გ) საჯაროობა;

   დ) გამჭვირვალობა;

   ე) არადისკრიმინაციულობა;

ვ) ობიექტურობა;

ზ) მიუკერძოებლობა;

თ) კოლეგიალურობა;

ი) კორექტულობა.

მუხლი 3. კონკურსის მიზანი და ამოცანები

1. კონკურსის მიზანია ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად დადგენილ მოთხოვნათა გათვალისწინებით, შესაბამისი კანდიდატის შერჩევა.
2. კონკურსის ამოცანებია:
   ა) საქართველოს მოქალაქეთათვის ვაკანტურ თანამდებობათა თანაბრად ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
   ბ) ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატების შერჩევის და მათი თანამდებობაზე დანიშვნის პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;
   გ) კონკურსში მონაწილე კანდიდატების კვალიფიკაციის, პროფესიული დონის, ცოდნის, პიროვნული თვისებების, მოტივაციის და უნარ-ჩვევების შეფასება;
   დ) შერჩეული კანდიდატების ვაკანტური თანამდებობის მოთხოვნებთან შესაბამისობის დონის განსაზღვრა.

მუხლი 4. კონკურსის გამოცხადება

1. ცენტრის მიერ კონკურსი ცხადდება მხოლოდ ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.
2. საკონკურსო ვადები, კანდიდატთა მიმართ წარდგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სხვა საკონკურსო პირობები განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ადმინისტრაციული აქტის შესაბამისად.
3. კონკურსი ცხადდება ცენტრის ელექტრონული ვებ-გვერდის მეშვეობით, თუმცა შესაძლებელია კონკურსის პირობების საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებულ იქნას სხვა ელექტრონული საშუალებები.

მუხლი 5. საკონკურსო განაცხადების მიღება

1. კონკურსში მონაწილე პირთა განაცხადები თანდართული დოკუმენტაციით წარედგინება ცენტრის ადმინისტრაციულ განყოფილებას.

მუხლი 6. დაწესებულების უფლება მოვალეობანი

1. ცენტრი უფლებამოსილია გამოაცხადოს კონკურსი ვაკანტურ თანამდებობაზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. 4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ცენტრი ვალდებულია, მოახდინოს კანდიდატის ინფორმირება კონკურსის შესახებ შეტყობინებაში შესული ცვლილების ან/და კონკურსის ახალი ვადის შესახებ, რის შემდეგაც კანდიდატს ეძლევა გონივრული ვადა ცვლილების გათვალისწინებით ან კონკურსის შესახებ ახალი შეტყობინების შესაბამისად, განცხადების წარსადგენად.
3. კონკურსის შესახებ შეტყობინებაში ცვლილების შეტანა ხდება იმავე წესით, რაც დადგენილია კონკურსის გამოცხადებისათვის.
4. ცენტრი უფლებამოსილია შეწყვიტოს გამოცხადებული კონკურსი ნებისმიერ ეტაპზე, კანდიდატისათვის საბოლოო გადაწყვეტილების გაცნობამდე.
5. კონკურსის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება შეტყობინების სახით უნდა ეცნობოს თითოეულ კანდიდატს.

მუხლი 7. კანდიდატის უფლება-მოვალეობანი

1. კონკურსში მონაწილეობისათვის განცხადების წარდგენა, კანდიდატის მიერ, უნდა მოხდეს დადგენილ ვადაში. კანდიდატი ვალდებულია ცენტრს მიაწოდოს უტყუარი ინფორმაცია საკონკურსო მოთხოვნებთან დაკავშირებით.
2. კანდიდატი უფლებამოსილია განცხადებაში შეიტანოს ცვლილება ცენტრის მიერ განცხადების წარდგენისთვის განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე.
3. კანდიდატს უფლება აქვს, ცენტრის მიერ გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის თაობაზე განცხადება წარადგინოს ერთდროულად, არა უმეტეს 2 ვაკანსიაზე.

მუხლი 8. კომისიის შემადგენლობა და შექმნის წესი

1. კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად, ცენტრის დირექტორი ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე ქმნის ცენტრის საკონკურსო კომისიას.
2. საკონკურსო კომისიის წევრთა რაოდენობასა და შემადგენლობას განსაზღვრავს ცენტრის დირექტორი.
3. საკონკურსო კომისიას ხელმძღვანელობს ცენტრის დირექტორი ან მის მიერ დანიშნული პირი.
4. კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრთაგან ნიშნავს თავმჯდომარის მოადგილეს, რომელიც ცვლის მას არყოფნის შემთხვევაში.
5. საკონკურსო კომისიის საქმიანობაში ცენტრის დირექტორის გადაწყვეტილებით შესაძლებელია მონაწილეობა მიიღონ მოწვეულმა პირებმა.
6. პირი არ შეიძლება იყოს იმ კომისიის წევრი, რომელმაც უნდა მოახდინოს მისი შერჩევა.
7. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს მოითხოვოს კომისიის შემადგენლობის შესახებ ინფორმაცია, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 9. კონკურსის ჩატარების ფორმა და პირობები

1. კონკურსს ატარებს ცენტრის საკონკურსო კომისია.

2. კონკურსი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:
   ა) განცხადების გადარჩევა;
   ბ) გასაუბრება.
3. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით კანდიდატთა შერჩევისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნას წერითი დავალება ან ტესტური შეფასების მეთოდი.

მუხლი 10. კომისიის წევრის აცილება

1. საკონკურსო კომისიის წევრი ვალდებულია, კონკურსის ეტაპების დაწყებამდე, წინასწარ, განაცხადოს ყველა იმ გარემოების თაობაზე, რომელმაც შეიძლება მას ხელი შეუშალოს კანდიდატის ობიექტურად შეფასებასა და კანდიდატის მიმართ გადაწყვეტილების მიუკერძოებლად გამოტანაში.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოების არსებობისას, კომისიის წევრი ვალდებულია, განაცხადოს თვითაცილება. ის, შესაბამისად, ვერ მიიღებს მონაწილეობას იმავე ვაკანტურ თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატების შეფასებასა და კანდიდატების მიმართ გადაწყვეტილების მიღებაში.
3. იმ შემთხვევაში, თუ კომისიის წევრი არ განაცხადებს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოების არსებობის შესახებ, ხოლო აღნიშნული, კომისიისათვის ცნობილი გახდება კონკურსის მიმდინარეობისას, კომისიის შესაბამისი წევრის მიერ კანდიდატის შეფასება არ იქნება გათვალისწინებული საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

მუხლი 11. კომისიის საქმიანობა

1. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ 3 წევრისა. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტად ითვლება სხდომის თავმჯდომარის ხმა.
2. საკონკურსო კომისია აფასებს კანდიდატის შესაბამისობას ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად დადგენილ მოთხოვნებთან, აუცილებლობის შემთხვევაში, ისმენს აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნის უფლების მქონე პირის აზრს და გამოაქვს შესაბამისი გადაწყვეტილება, დადგენილი წესით.
3. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და კომისიის დამსწრე წევრები. კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.
4. კონკურსის შედეგების მიხედვით, კომისია თითოეულ ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად წარადგენს ერთ კანდიდატს ან უარს აცხადებს კანდიდატის წარდგენაზე.

5. კონკურსი ითვლება ჩაშლილად, თუ მასში მონაწილეობის მისაღებად არ იქნა წარდგენილი არც ერთი განცხადება, აგრეთვე, იმ შემთხვევაში, თუ კომისია უარს განაცხადებს თანამდებობაზე დასანიშნად კანდიდატის წარდგენაზე.
6. საკონკურსო კომისია ვალდებულია, საბოლოო გადაწყვეტილება მიიღოს განცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 დღის ვადაში.
7. კომისიის თავმჯდომარე ან კომისიის სხვა უფლებამოსილი პირი, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა, წერილობით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, აცნობებს ყოველ კანდიდატს მის მიმართ გამოტანილ გადაწყვეტილებას, ხოლო თანამდებობაზე დამნიშვნელ პირს – კომისიის მიერ წარდგენილი კანდიდატის ან კანდიდატის წარდგენაზე უარის შესახებ.
8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული შეტყობინება შეიძლება შეიცვალოს ცენტრის საიტზე შესაბამისი ინფორმაციის გამოქვეყნებით.
9. კომისიის მოწვეულ წევრთა შრომა შესაძლებელია ანაზღაურდეს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 12. კონკურსის შედეგების გასაჩივრება

1. კონკურსატს უფლება აქვს კონკურსის შედეგები გაასაჩივროს სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.